ნია პაპავა

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

Adam Mickiewicz University, პოლონეთი

,,საზღვარგარეთ სწავლის სურვილი სკოლიდან მოყოლებული მქონდა. სკოლის მერე ვენის ერთ-ერთ უნივერსიტეტშიც ჩავაბარე, მაგრამ მრავალი მიზეზის გამო, სამწუხაროდ, ვეღარ წავედი. შესაბამისად, პირველი კურსიდანვე ვიცოდი, რომ გაცვლით პროგრამაში ბედი უნდა მეცადა. ზუსტად ერთი წლის წინ, როდესაც კავკასიამ გაცვლითი პროგრამების კონკურსი გამოაცხადა თავს მოვუწოდე რომ ჩემი მაქსიმუმი გამეკეთებინა და ეს შანსი ხელიდან არ გამეშვა. დიდი მოტივაციისა და მიზანდასახულობის გამო საბუთების მომზადების პროცესმა ძალიან მარტივად და სწრაფად ჩაიარა. დღეებს ვითვლიდი პასუხის მოლოდინში. საბოლოოდ, როდესაც თანხმობის მეილი მივიღე ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა.

გამგზავრების პერიოდში ცოტას, რა თქმა უნდა, ვნერვიულობდი. ჩემი მეგობრების და ოჯახის დატოვებაც ცოტა მიმძიმდა, მაგრამ ყველა ძალიან გახარებული იყო ჩემი წარმატებით და მათ გვერდში დგომას პოლონეთშიც ვგრძნობდი. ადაპტაციის პერიოდმა ძალიან მარტივად ჩაიარა. ამ 5 თვის განმავლობაში უამრავი ახალი მეგობარი შევიძინე, ძალიან კარგი ლექტორები გავიცანი და საინტერესო თემებიც შევისწავლე. ამ გამოცდილებამ, არა მარტო კარიერულად, არამედ პიროვნულადაც ძალიან გამზარდა. უამრავი ახალი უნარის გამომუშავება დამჭირდა, რამაც ძალიან დამოუკიდებელი გამხადა. შეძენილ მეგობრებთან კი დღესაც ვინარჩუნებ კომუნიკაციას და ერთად მოგზაურობებსაც ვგეგმავთ. ჩამოსვლისას ვიგრძენი, რომ უფრო მეტის გაკეთება შემეძლო ვიდრე აქამდე წარმომედგინა. ჩემს მეგობრებთან ერთად „English speaking club“-ი შევქმენი, რომლის შეხვედრებსაც ყოველ კვირას ვატარებთ. გარდა ამისა, კიდევ უამრავი იდეა დამებადა რის განხორციელებაზეც ნელ-ნელა ვმუშაობ.

ვთვლი, რომ საზღვარ გარეთ სწავლა და ცხოვრება ძალიან ღირებული გამოცდილებაა. თუ ხართ სიახლეების მიმართ გახსნილი, კომუნიკაბელური, დამოუკიდებელი პიროვნება, ჩემი აზრით, ეს შანსი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუშვათ ხელიდან!''